INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საწარმოთა მართვის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.ema.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 20 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საწარმოთა მართვის სააგენტო
www.ema.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
57,14%
74,50%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
50,00%
79,75%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
43,67%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
26,92%
17,86%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
14,29%
51,67%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
21,43%
40,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
50,00%
100,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საწარმოთა მართვის სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარისა და აგრეთვე, მისი მოადგილის კომპეტენციის აღწერა:

თავმჯდომარე

სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" თავმჯდომარე
ალექსანდრე ხოჯევანიშვილი

დაბადების თარიღი:
1980 წლის 18 ივლისი

ოჯახური მდგომარეობა:
დაოჯახებული

ენების ცოდნა:
რუსული; ინგლისური

განათლება:
1997-2002 წლები - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტი, სპეციალობა - საერთაშორისო სამართალი;
1999 წელი - საერთაშორისო კონფერენცია, ბუდაპეშტი;
2000 წელი - ინგლისური ენის კურსი, დიდი ბრიტანეთი;
2007 წელი - ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების სწავლების ევროპული ცენტრი, გენერალური ინსპექციის როლი თავდაცვის უწყებაში;
2008 წელი - ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული კონფერენცია "ურთიერთთანამშრომლობა მშვიდობიანი მიზნებისთვის", დიდი ბრიტანეთი;
2009 წელი - შავი ზღვის ქვეყნების გენერალური ინსპექციის უფროსების კონფერენცია, ვარნა, ბულგარეთი;
2009 წელი - ნატოს ეგიდით გამართული კონფერენცია, მონტერეი, აშშ;
2009 წელი - თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა;

სამუშაო გამოცდილება:
2001 - 2002 წლები - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი, სტაჟიორი.
2002-2003 წლები - სახელმწიფო კანცელარია, კონტროლის სამსახური, უფროსი სპეციალისტი;
2003-2004 წლები - თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, იურის კონსულტი;
2004 -2005 წლები - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, მინისტრის მოადგილის თანაშემწე;
2005 -წელი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, განყოფილების უფროსის მოადგილე;
2005-2006 წლები - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, განყოფილების უფროსი;
2006-2007 წლები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, გენერალური ინსპექცია, უფროსის მოადგილე;
2007-2009 წლები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, გენერალური ინსპექციის უფროსი;
2009 წელი - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, გენერალური ინსპექციის უფროსი;
2010 წლის 13 აპრილიდან დღემდე არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საწარმოთა მართვის სააგენტოს" თავმჯდომარე.

სასურველია ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს ცალკეული (ქვე-)განყოფილება „თავმჯდომარე“, სადაც განთავსდებოდა შესაბამისი ინფორმაცია სააგენტოს თავმჯდომარის შესახებ.

2. სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება), სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი და სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა:

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე მოცემულია სააგენტოს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

ამასთან, სასურველია აღნიშნული ინფორმაცია განთავსდეს აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი“:



კონტაქტი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
ნინო რუხაია
მობილურის ნომერი: 591 309 309
ქალაქის ნომერი: 2 99 61 30
ელ. ფოსტა: nrukhaia@ema.gov.ge

სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" თავმჯდომარე
ალექსანდრე ხოჯევანიშვილი
ქალაქის ნომერი: 2 99 60 21
ფაქსი: (99532) 2 99 60 21
ელ. ფოსტა: akhojevanishvili@ema.gov.ge

სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" თავმჯდომარის მოადგილე
ლევან ედილაშვილი
ქალაქის ნომერი: 2 99 60 02
ფაქსი:(99532) 2 99 60 02
ელ. ფოსტა: ledilashvili@ema.gov.ge

სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" ადმინისტრაციის უფროსი
ვახტანგ გენგიური
ქალაქის ნომერი: 2 99 60 07
ფაქსი:(99532) 2 99 60 07
ელ. ფოსტა: gengiuri@ema.gov.ge

სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" იურიდიული სამმართველოს უფროსი
ლევან ჯაჭვლიანი
ქალაქის ნომერი: 2 99 60 08
ფაქსი:(99532) 2 99 60 08
ელ. ფოსტა: ljachvliani@ema.gov.ge

5. მართალია, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ბმულები“ მოცემულია სააგენტოს ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს დასახელება და ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული, თუმცა, სასურველია აღნიშნული ბმული განთავსდეს აგერთვე, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე:



6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, ამასთან, ვებ-გვერდზე არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება, სადაც განთავსდებოდა აღნიშნული ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა;
- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფის შემადგენელი შემდეგი ქვედანაყოფების შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია:

- საინფორმაციო-ანალიტიკური სექტორი;
- ბუღალტერია;
- კანცელარია;
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სექტორი;
- სამდივნო.



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. სააგენტოს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამსახურის საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ვაკანსიები“ ბმულზე გადასვლისას გვერდი იუწყება, რომ „გვერდი დამუშავების პროცესშია“:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება ცნობები სააგენტოს თავმჯდომარის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ;

- არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, არ მოიძიება ცნობები მოადგილის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ.

10. სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები“ მოყვანილია ძალზედ მწირი საინფორმაციო ხასიათის ცნობები სააგენტოს საქმიანობის შესახებ. ამასთან, მოყვანილი ცნობები თარიღდება მხოლოდ 2010-2011 წლებით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს სააგენტოს 2010 წლამდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:

სიახლეები

შპს "ენგურჰესში" სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი იწყება

10/09/2010

მიმდინარე თვეში იწყება ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოების II ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს ჰიდროელექტროსადგურის N1 და N5 აგრეგატების სრულ რეაბილიტაციას...

ევროპაში მეორე და პირველი თბილისში – თბილისი-სპა დედაქალაქი

08/09/2010

შეინარჩუნეთ და აღიდგინეთ ჯანმრთელობა განახლებულ და უნიკალურ კურორტზე თბილისის ცენტრში, რომელიც თავისი ისტორიული ადგილმდებარეობით, მიკროკლიმატითა და მკურნალობის მეთოდით მეორეა ევროპაში...

კომფორტული პირობები, მაღალხარისხიანი კვება და მისაღები ფასები

14/06/2010

საწარმოთა მართვის სააგენტოს სასტუმრო იბერია გთავაზობთ დასვენებას კურორტ საირმეში. სასტუმროში ქირავდება 1-2-3 და 4 ადგილიანი ნომრები და აპარტამენტები. ყველა ოთახიდან იშლება კურორტის ხედი...

საწარმოთა მართვის სააგენტოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

20/04/2010

13 აპრილს საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი დაინიშნა. ახალი ხელმძღვანელი საზოგადოებას ეკონომიკური განვითარების მინისტრმა თავის უწყებაში გამართულ პრესკონფერენციაზე გააცნო...

1 2 3

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სააგენტოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

14. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სააგენტოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

15. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა უშუალოდ სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

16. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად - „კანონმდებლობა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საქართველოს კანონები“ განთავსებული სამართლებრივი აქტებიდან თითქმის ყველა მოცემულია ძველი მდგომარეობით. სასურველია მოცემულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, სააგენტოს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები, აგრეთვე სამართლებრივი აქტების პროექტები. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება სააგენტოს შინაგანაწესი. აღნიშნული

სამართლებრივი აქტი სასურველია მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ (ქვე-) განყოფილებაში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-) განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების 2004 წლის 14-15 სექტემბრის N 589, N 1-1/91 ერთობლივი ბრძანება „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილეობისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიზნით კომისიის შექმნის თაობაზე“.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საქართველოს კანონები“ განთავსებული პირველი სამართლებრივი აქტი, კერძოდ კი, „სახელმწიფო შესყიდვის ელექტონული საშუალებით განხორციელების დროებითი წესი“ - წარმოადგენს სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებას, შესაბამსად, სასურველია აღნიშნული სამართლებრივი აქტი განთავსდეს განყოფილებაში „კანონმდებლობა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „შიდა ნორმატიული აქტები“:



- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

18. ვებ-გვერდზე მართალია მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობა (სახელი და გვარი), თუმცა ვებ-გვერდზე მოცემულ საჯარო ინფორმაციის ხელმისწავდომობაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო რეკვიზიტებს აკლია ფაქსის ნომერი. სასურველია აქვე იყოს აღნიშვნა აგრეთვე, მისი თანამდებობის შესახებ:



სასურველია ვებ-გვერდზე განთავსდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოს შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის"** ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", საწარმოთა მართვის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელბიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაოაბზე მიღებულ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/sawarmotamartva_infostatistics.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოს და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სააგენტოს და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ცნობები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საწარმოთა მართვის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების , პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/sawarmotamartva_shesyidvebi.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

21. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება სათაურად „ვაკანსიები", თუმცა მოცემულ ბმულზე გადასვლისას გვერდი იუწყება, რომ „გვერდი დამუშავების პროცესშია":

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება)

მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სააგენტოსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საწარმოთა მართვის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  http://www.opendata.ge/pdf_files/sawarmotamartva_budget.pdf*);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საწარმოთა მართვის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის 25 მაისის მდგომარეობისათვის სსიპ - საწარმოთა მართვის სააგენტოს საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი (თანამდებობის პირთა ვინაობა და თანამდებობის სახელწოდება), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  http://www.opendata.ge/pdf_files/sawarmotamartva_tanamdebobispirebi.pdf*);*

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საწარმოთა მართვის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/sawarmotamartva_xelfasipremia.pdf);*

- არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტოს;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

- არ მოიძიება პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სააგენტოსათვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საწარმოთა მართვის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/4_sawarmotamartva_sarezervofondebi.pdf).*

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
43,75%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
42,11%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0,00%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
0,00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
25,00%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ძიება**

თუ ვებ-გვერდზე ძიება დასრულდა წარუმატებლად, უნდა გამოვიდეს შესაბამისი შეტყობინება, მაგალითად: „შედეგები ვერ მოიძებნა, სცადეთ სხვა საკვანძო სიტყვა“, გვერდი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს ცარიელი, როგორც ეს სურათზეა გამოსახული:



ვებ-გვერდის ძიების მოდულში ავტომატურად არ იწერება ქართული ფონტით. ვებ-გვერდის ქართულ ვერსიაში, ძიების მოდულში, აუცილებლად ქართული ფონტი უნდა იყოს მითითებული სტანდარტულ ენად:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის დიზაინს აკლია ერთ-ერთი ბანერი, რომლის მაგივრად ჩანს უხეში მართკუთხედი, რაც ხიბლს უკარგავს ვებ-გვერდს:



- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ყველა გვერდს აქვს ერთი და იგივე დასახელება, რაც ართულებს საძიებო სისტემებში ელ.რესურსის ინდექსაციას. ყველა გვერდს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მისთვის დამახასიათებელი სათაური და აღწერა. მიაქციეთ ყურადღება შემდეგ წარწერას: Enterprise Management Agency





- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდს არ გააჩნია სისტემა, რომელიც ზუსტად გამოსახავს კატეგორიის მისამართს - იმას თუ რა კატეგორიაში შევიდა მომხმარებელი ან სად იმყოფება: